შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ყოველი დავალების პირობას და ისე შეასრულეთ დავალებები.

პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

ყურადღება!!! გასწორდება მხოლოდ ჩვენ მიერ მოწოდებული პასუხების ფურცელი.
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 10 წუთი.
გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-24, 30.1-30.3)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში დასვით **X** ნიშანი. თუ გსურთ მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გადასწორებული პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. **რა ეწოდება ეკონომიკურ სისტემას, რომელშიც პროდუქციისა და მომსახურების წარმოება-განაწილების გადაწყვეტილებები თვითრეგულირებადია?**

ა. შერეული

ბ. საბაზრო

გ. გეგმიური

დ. კოლექტიური

2. მდგრადი განვითარების კონცეფცია სამი კომპონენტის ჰარმონიულ ურთიერთკავშირს ეყრდნობა. ჩამოთვლილი კომპონენტებიდან რომელია ზედმეტი?

ა. გარემოს მდგრადი განვითარება

ბ. მდგრადი ჰუმანური განვითარება

გ. მდგრადი სოციალური განვითარება

დ. მდგრადი ეკონომიკური განვითარება

3. რომელი ნიშანი *<u>არ ახასიათებს</u>* სამართლებრივ სახელმწიფოს?

ა. კანონის უზენაესობის აღიარება მხოლოდ გარკვეული ჯგუფების მიერ

ბ. მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა

გ. სახელმწიფო ხელისუფლებათა გამიჯვნა

დ. ხელისუფლების გამჭვირვალეობა და ანგარიშვალდებულება

4. **რა ეწოდება სამოქალაქო მონაწილეობის საფეხურს, როდესაც საზოგადოების წევრები და ჯგუფები განიხილავენ პრობლემის მოგვარების საუკეთესო შესაძლებლობებს და ქმნიან ერთიან კოალიციას გადაწყვეტილების მიმღებებთან ერთად?**

ა. ინფორმირება

ბ. კონსულტაცია

გ. თანამშრომლობა

დ. უფლებამოსილება

5. ქვემოთ მოცემულია სქემა, რომელიც ასახავს საბაზრო სტრუქტურას კონკურენციის ხარისხის კლების მიხედვით:



რომელი ტერმინია გამოტოვებული?

ა. ოლიგოპოლია

ბ. მეგალომანია

გ. მეგალოპოლია

დ. ოლიგოფრენია

6. რა ეწოდება პროცესს, რომლის დროსაც რელიგიური აზროვნება, პრაქტიკა და ორგანიზაციები კარგავენ სოციალურ გავლენას და მნიშვნელობას?

ა. სეგრეგაცია

ბ. დისკრიმინაცია

გ. სოციალიზაცია

დ. სეკულარიზაცია

7. რა განსხვავებაა ლტოლვილსა და დევნილს შორის?

ა. ლტოლვილი საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ იძულებით გადაადგილებული პირია, ხოლო დევნილი - საკუთარი ქვეყნის ფარგლებში

ბ. ლტოლვილი უცხოური ოკუპაციის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირია, ხოლო დევნილი - შიდა კონფლიქტის შედეგად

გ. ლტოლვილი საკუთარი ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირია, ხოლო დევნილი - საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ

დ. ლტოლვილი შიდა კონფლიქტის მსხვერპლია, ხოლო დევნილი - უცხოური ოკუპაციის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი

8. სქემაზე არათანმიმდევრულად არის მოცემული პრობლემის მოგვარების ძირითადი ეტაპები. რომელი ორი ეტაპის ადგილმდებარეობის შენაცვლებით მიიღება სწორი სქემატური გამოსახულება?

ა. პრობლემის ფორმულირება - განხორციელება

ბ. სამოქმედო გეგმის შემუშავება - სიტუაციის ანალიზი

გ. სიტუაციის ანალიზი - გადაწყვეტილების ალტერნატიული გზების მოძიება

დ. გადაწყვეტილების ალტერნატიული გზების მოძიება - სამოქმედო გეგმის შემუშავება

9. დემოკრატიული მმართველობის რომელი ფორმა ითვალისწინებს სახელისუფლებო უფლებამოსილების განხორციელებას მოქალაქეთა მიერ არჩეული პირების მიერ?

ა. უშუალო

ბ. პირდაპირი

გ. მონაწილეობითი

დ. წარმომადგენლობითი

10. დემოკრატიულობის ძირითადი ნიშნებისა და მახასიათებლების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

I. სახელმწიფოს დემოკრატიულობას განსაზღვრავს სახელმწიფო მოწყობის ფორმა. ფედერაციული მოწყობის სახელმწიფოები დემოკრატიულია, უნიტარული -არადემოკრატიული

II. დემოკრატიულ სახელმწიფოს ახასიათებს პოლიტიკური და იდეოლოგიური შემწყნარებლობა

ა. მხოლოდ I

ბ. მხოლოდ II

გ. ორივე

დ. არცერთი

11. **მართებულია თუ არა მსჯელობა საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციის შესახებ?**

I. საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციაა კანონის და საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა.

II. საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციაა საერთო სასამართლოების ზოგადი კონტროლი.

ა. მხოლოდ I

ბ. მხოლოდ II

გ. ორივე

დ. არცერთი

12. პროცესს, რომლის დროსაც ადამიანი სხვადასხვა ინსტიტუტების (ოჯახი, სკოლა, მასმედია და სხვა) ხელშეწყობით პიროვნებად ყალიბდება _____ ეწოდება.

ა) სტრუქტურიზაცია

ბ) სოციალიზაცია

გ) სეგრეგაცია

დ) ინტეგრაცია

13. ჩასვით ტექსტში გამოტოვებული სიტყვა:

მეოცე საუკუნეში ძალზედ პოპულარული გახდა გერმანელი ფილოსოფოსის, კარლ მარქსის იდეები სახელმწიფოს მოწყობასთან დაკავშირებით. ვინაიდან საბჭოთა კავშირი საკუთარ იდეოლოგიურ საფუძვლებს სწორედ მარქსის ფილოსოფიაში ხედავდა და საბჭოთა რეჟიმი უამრავ სისასტიკეს სჩადიოდა, მარქსის მიერ დაფუძნებული _____ იდეოლოგიაც ბევრის მიერ სისასტიკის საფუძვლად იქნა მიჩნეული.

ა) მემარჯვენე

ბ) კომუნისტური

გ) ფაშისტური

დ) ლიბერალური

14. რომელი საწარმოო რესურსია გამოტოვებული სქემაში?



ა. ადმინისტრაციული რესურსი

ბ. ბუნებრივი რესურსი

გ. მატერიალური რესურსი

დ. ინტელექტუალური რესურსი

15. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრია საქართველო?

ა. ევროკავშირი

ბ. ევროსაბჭო

გ. ოპეკი

დ. ნატო

16. რა ეწოდება განსხვავებული ადამიანის, ჯგუფის, უცხო კულტურის მიმართ სიძულვილს?

ა. სეგრეგაცია

ბ. ქსენოფობია

გ. სოციოფობია

დ. დისკრიმინაცია

17. მოცემულ სქემაზე ასახულია მოსახლეობის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით 2002 და 2012 წლებში.

I. 50-54 წლის ქალების რაოდენობა 2012 წელს უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 2002 წელს;

II. 20-24 წლის კაცების რაოდენობა 2012 წელს უფრო მეტი იყო, ვიდრე 70-74 წლის კაცების 2002 წელს.



რომელი მსჯელობა შეესაბამება დიაგრამის მონაცემებს?

ა. მხოლოდ I

ბ. მხოლოდ II

გ. ორივე

დ. არცერთი

18. მოცემული ჩამონათვალი ასახავს 2014 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ განხორციელებული კვლევის ძირითად შედეგებს.

- საზოგადოების 30% აღნიშნავს, რომ ბავშვობაში მათი მშობლები რეგულარულად იყენებდნენ მათ მიმართ ფიზიკურ ძალას;
- საზოგადოების 45% ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობის გამოყენებას დასაშვებად მიიჩნევს და თვლის, რომ ფიზიკური დასჯის გარეშე ბავშვი „გაფუჭდება“;
- საზოგადოების თითქმის 60% ფიქრობს, რომ აღზრდის მკაცრი მეთოდები არაძალადობრივზე უფრო ეფექტიანი.

მონაცემთა საფუძველზე გამოტანილი რომელი დასკვნაა მართებული?

ა) საქართველოში ბავშვთა უფლებები არ ირღვევა

ბ) ყველა მშობელი იყენებს აღზრდის ძალადობრივ მეთოდს

გ) ბავშვთა მიმართ ძალადობა წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას

დ) აღზრდის ძალადობრივი მეთოდები არცერთი მშობლისათვის არ არის მისაღები

19. რა განსხვავებაა აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას შორის?

ა. აქტიური უფლება გულისხმობს პირის შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, ხოლო პასიური - ამ შესაძლებლობის გამოუყენებლობას

ბ. აქტიური უფლება გულისხმობს პირის შესაძლებლობას არჩეულ იქნას ამა თუ იმ არჩევით თანამდებობაზე, ხოლო პასიური - ხმა მისცეს მისთვის სასურველ საარჩევნო სუბიექტს

გ. აქტიური საარჩევნო უფლების გამოყენების შესაძლებლობა პირს აქვს სრულწლოვანების შემთხვევაში, ხოლო პასიურია ეს უფლება პირის სრულწლოვანებამდე

დ. აქტიური უფლება გულისხმობს პირის შესაძლებლობას ხმა მისცეს მისთვის სასურველ საარჩევნო სუბიექტს, ხოლო პასიური - არჩეულ იქნას ამა თუ იმ არჩევით თანამდებობაზე

20. გაეცანით აღწერილ სიტუაციას და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვას:

ქალაქის გამგეობაში მოქალაქეს არ გაუწიეს მომსახურება ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში, რომლის ბენეფიციარიც ის იყო. მიზეზად საკმარისი თანხის არარსებობა დასახელდა. მოქალაქემ დაწერა განცხადება და გამგეობიდან გამოითხოვა პროგრამის ფინანსური ანგარიში. გამგეობამ მოთხოვნილი ინფორმაცია არ გასცა და განაცხადა, რომ ის არ არის საჯარო.

ზემოაღნიშნულის გამო, მოქალაქემ საჯარო გახადა მისი პრობლემა ადგილობრივი მასმედიის დახმარებით და ბოლოს, გამგეობის გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა.

კონსტიტუციით მინიჭებული რომელი უფლება შეეზღუდა მოქალაქეს მოცემულ სიტუაციაში?

ა. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უფლება

ბ. სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლება

გ. სამართლიანი სასამართლოს უფლება

დ. სიტყვის თავისუფლება

21. გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვას:

„ქალები ყველგან ამ სავალალო მდგომარეობაში არიან, რადგან მათი უმანკოების – როგორც თავაზიანად უწოდებენ უმეცრებას – შესანარჩუნებლად მათ ჭეშმარიტებას უმალავენ; ისინიც იძულებულნი არიან, უკვე მანამდე მოირგონ ხელოვნური ხასიათი, სანამ მათი უნარები გაძლიერდება. მათ ბავშვობიდან ასწავლიან, რომ სილამაზით მიიღწევა ძალაუფლება და მათი გონებაც სხეულს ერგება; და თავის მოოქროვილ გალიაში გამომწყვდეული, მხოლოდ იმასღა ესწრაფვიან, ეს საპყრობილე გაალამაზონ. მამაკაცების ყურადღება მიმართულია სხვადასხვა საქმიანობისა და მისწრაფებისკენ, რომლებიც მათ გონებას აყალიბებს. ხოლო ქალების ძირითადი საზრუნავი ერთი რაღაცის გარშემო ტრიალებს და ისინი გამუდმებით ფიქრობენ იმაზე, რაც მათში ყველაზე უმნიშვნელოა. ამიტომ მათი თვალსაზრისი იშვიათად სცილდება უშუალოდ აწმყო ინტერესებს. მაგრამ, თუ მათი აზროვნება ოდესმე გათავისუფლდება იმ მონობისგან, რომელშიც ისინი ჩააგდო, ერთი მხრივ, მამაკაცების ამპარტავნებამ და ავხორცობამ, და, მეორე მხრივ, საკუთარმა შეზღუდულმა მისწრაფებებმა მაშინ, ალბათ, მათ სისუსტეზე აღარ ვისაუბრებთ.“ **მერი უოლსტონკრაფტი (ქალის უფლებების დაცვა, 1792)**

ტექსტიდან გამომდინარე, რომელი მსჯელობაა მართებული?

ა. მამაკაცებს ბუნებრივად აქვთ აზროვნების უნარი უფრო განვითარებული, ვიდრე ქალებს

ბ. ქალების ძალაუფლების მთავარი წყარო სილამაზეა, რამდენადაც სწორედ ეს განარჩევს მათ მამაკაცებისაგან

გ. ქალი თავისუფალია, თუმცა ზოგიერთ სიტუაციაში ის ვალდებულია შეასრულოს ის, რასაც მამაკაცი მოისურვებს

დ. ქალის კაცისადმი დაქვემდებარებული მდგომარეობა განპირობებულია არა ბუნებით, არამედ სოციალურ გარემოში აღიარებული წესებით

ინსტრუქცია

რუკის ანალიზი (№22-24)

დავალებაში მოცემულია რუკა, რომელსაც ახლავს სამი დავალება არჩევითი პასუხებით. გაეცანით რუკას და უპასუხეთ კითხვებს.

რუკა ასახავს მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგს გენდერული თანასწორობის ხარისხის მიხედვით („გენდერული თანასწორობის ინდექსი“ 2013 წ.):



დავლებებზე გადასვლა: 22; 23; 24

22. რუკის თანახმად, მუქი მწვანე ფერით აღნიშნულ ქვეყნებში გენდერული თანასწორობის ხარისხი არის:

ა. ძალიან მაღალი

ბ. მაღალი

გ. საშუალო

დ. ძალიან დაბალი

რუკაზე დაბრუნება

23. ქვეყნები დაჯგუფებულია გარკვეული პრინციპის მიხედვით. ქვეყანათა რომელი ჯგუფი <u>არ შეესაბამება</u> აღნიშნულ პრინციპს?

ა. ბრაზილია, მექსიკა, ირანი

ბ. იაპონია, ესპანეთი, საქართველო

გ. კანადა, საფრანგეთი, ავსტრალია

დ. მონღოლეთი, ყაზახეთი, რუსეთი

რუკაზე დაბრუნება

24. რომელი მსჯელობა <u>არ შეესაბამება</u> რუკის მონაცემებს?

ა. კონტინენტებს შორის, აფრიკის კონტინენტი ყველაზე პრობლემურია გენდერული თანასწორობის მხრივ

ბ. ინდოეთში თანასწორობის საკითხი უფრო მწვავედ დგას, ვიდრე ავსტრალიაში

გ. საქართველო კავკასიის ქვეყნებს შორის მოწინავე პოზიციაზეა

დ. სკანდინავიის ქვეყანათა უმრავლესობაში გენდერული თანასწორობის საკითხი უფრო მოგვარებულია, ვიდრე აზიის ქვეყანათა უმრავლესობაში

რუკაზე დაბრუნება

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№25)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

25. სამოქალაქო ინიციატივები შეუსაბამეთ მათი განხორციელებისათვის საჭირო მოქალაქეთა რაოდენობას:

I	II
ა. საკანონმდებლო ინიციატივა	1. არანაკლებ 150 ამომრჩეველი 2. არანაკლებ 300 ამომრჩეველი
ბ. რეფერენდუმის დანიშვნის მოთხოვნა	3. არანაკლებ 30 000 ამომრჩეველი
გ. პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) დამფუძნებელი ყრილობის ჩატარება	4. არანაკლებ 50 000 ამომრჩეველი 5. არანაკლებ 100 000 ამომრჩეველი 6. არანაკლებ 200 000 ამომრჩეველი

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№26)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და გაასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი გასწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის გასწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

26. საქართველოს საგარეო პოლიტიკა

მას შემდეგ, რაც 1989 წლის 9 აპრილს საქართველომ გამოაცხადა დამოუკიდებლობის აღდგენა და გამოვიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. ქვეყანამ საგარეო პოლიტიკური ვექტორი აღმოსავლეთისაკენ მიმართა. თუმცა, ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ არ მისცა ქვეყანას ნორმალური განვითარების შესაძლებლობა. 1991 წელს საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არსებული მწვავე პოლიტიკური დაპირისპირება გადაიზარდა ეთნიკურ ომში, რამაც მთავრობის ყურადღება მთლიანად საშინაო პოლიტიკაზე მიაპყრო. ამას დაერთო სამოქალაქო მოქმედებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რომლის დამანგრეველი შედეგების აღმოფხვრა რთული აღმოჩნდა სახელმწიფოსათვის.

მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა, საქართველომ დაამყარა დიპლომატიური კავშირები დასავლეთის ქვეყნებთან, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, როგორც „ევროინტეგრაცია“. ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს გაწევრიანება ევროკომისიაში. ეს მოვლენა დასამახსოვრებელია საქართველოს მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის მიერ წარმოთქმული სიტყვებით: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი.“

მკვეთრად არჩეული პროდასავლური პოლიტიკის ფონზე ურთიერთობა იძაბებოდა რუსეთის ფედერაციასთან. 2006 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ კი, საქართველოს მთავრობამ მიზანშეუწონლად მიიჩნია რუსეთის ფედერაციასთან რაიმე კავშირში ყოფნა და 2009 წელს საქართველომ ოფიციალურად დატოვა გაერო. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან საქართველო ერთადერთია, რომელიც აღნიშნული ორგანიზაციის წევრი არ არის.

„ევროინტეგრაციის“ პროცესში მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ე.წ. „ასიმილირების ხელშეკრულება“ რომელიც განსაზღვრავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ჩარჩოს.

ხელშეკრულების გაფორმებით საქართველოს სახელმწიფომ კიდევ ერთხელ განაცხადა საკუთარი სურვილი ქვეყნის ევროსტრუქტურებში სეგრეგაციის შესახებ, ხოლო ევროკავშირმა, თავის მხრივ, კვლავაც დაადასტურა საკუთარი მზაობა გააღრმაოს საქართველოსთან თანამშრომლობა, რაც გამოიხატა სავიზო რეჟიმის გამკაცრებით.

ინსტრუქცია

სასკოლო პროექტი (N27)

დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის არასრულყოფილი მონახაზი. გაეცანით პრობლემის აღწერასა და მიზანს. დასახეთ ორი კონკრეტული ამოცანა, რომელიც აღწერილი პრობლემის მოგვარებას შეუწყობს ხელს. აღწერეთ თითოეული ამოცანის განხორციელების გზა. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება N 27. სასკოლო პროექტი	
პრობლემის აღწერა/სიტუაციის ანალიზი	მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მათ უმრავლესობას აქვს საინტერესო ხედვა სკოლის გარემოს განვითარებასთან დაკავშირებით. არსებობს, ასევე, გარკვეული უკმაყოფილებაც სასკოლო პროცესებთან დაკავშირებით. აღნიშნული მოსაზრებებისა და იდეების ხმამაღლა დაფიქსირება მოსწავლეთათვის პრობლემას წარმოადგენს. ერთის მხრივ, არ არსებობს კომუნიკაციის მექანიზმები, ხოლო მეორეს მხრივ, მოსწავლეები უფრთხიან საკუთარი კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმას.
პროექტის მიზანი	სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება.
პროექტის ამოცანები	(კონკრეტული *მიმართულებები* პროექტით დასახული მიზნის მისაღწევად) I. <u>ამოცანა:</u> II. <u>ამოცანა:</u>
განხორციელების გზები	(კონკრეტული ნაბიჯები, აქტივობები დასახული ამოცანების გადასაჭრელად) <u>I ამოცანის განხორციელების გზა:</u> <u>II ამოცანის განხორციელების გზა:</u>

ინსტრუქცია

ილუსტრაციის ანალიზი (N28)

ყურადღებით შეისწავლეთ დავალებაში მოცემული ილუსტრაცია. გაანალიზეთ იგი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება N 28

28.1 რისი სიმბოლოა ილუსტრაციაზე გამოსახული თეთრი მტრედი? სვავები?

28.2 რა არის ილუსტრაციის მთავარი სათქმელი?

28.3 იმსჯელეთ, ილუსტრაციით გადმოცემული პრობლემის აქტუალურობის შესახებ.

ინსტრუქცია

არგუმენტირებული მსჯელობა (N29)

გაეცანით სადისკუსიო თემას და შეასრულეთ დავალება. გაითვალისწინეთ, თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი, კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება N 29

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი

სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის უმაღლეს ზომა, ზოგიერთ ქვეყანაში დღესაც გამოიყენება დამნაშავეთა დასასჯელად. თუმცა, ქვეყანათა უმრავლესობამ უარი განაცხადა დამნაშავეთა დასჯის ამ ფორმაზე და სასჯელის უმაღლეს ზომად სამუდამო პატიმრობა დააკანონა.

29.1 **დაასახელეთ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არგუმენტი, რომლითაც ნათელი ხდება სიკვდილით დასჯის მომხრეთა პოზიცია**

29.2 **დაასახელეთ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არგუმენტი სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეთა პოზიციის დასაცავად.**

ინსტრუქცია

წყაროს ანალიზი (N30)

დავალებაში მოცემულია რამდენიმე წყარო, რომელსაც ახლავს სამი დავალება არჩევითი პასუხებით და ხუთი ღია კითხვა. გაეცანით მოცემულ წყაროებსა და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალება N 30

წყარო N 1.1

„ფიურერის ბავშვები“

„ბელადი - პიონერების მეგობარი“

რეჟიმის „მოწინააღმდეგეები“

საკონცენტრაციო ბანაკში

წყაროებზე გადასვლა: N 1.2; N2

დავალებებზე გადასვლა: 30.1; 30.2; 30.3; 30.4-30.8

წყარო N 1.2

პროპაგანდაში ჩართული
რეჟიმის „მომხრეები“

კომუნიზმისა და ნაციონალ-სოციალიზმის
მომავალი მშენებლების „სამჭედლო“

წყაროებზე გადასვლა: N 1.1; N2

დავალებებზე გადასვლა: 30.1; 30.2; 30.3; 30.4-30.8

წყარო N2

„ ... ცოტა ვინმე თუ აცნობიერებს, რომ ფაშიზმისა და მარქსიზმის აღზევება, წინარე პერიოდის სოციალისტური ტენდენციების წინააღმდეგ მიმართული ქმედება კი არა, არამედ სოციალისტური ტენდენციების გაგრძელება და განვითარება იყო. ... სწორედ სოციალისტები და არა ფაშისტები იყვნენ პირველები, რომლებმაც მცირეწლოვანი ბავშვების პოლიტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანება დაიწყეს, რათა მათი აზროვნება ემართათ. ...

სოციალიზმისა და ტოტალიტარიზმის გამოვლინების ყველა ფორმისგან განსხვავებით, ინდივიდუალიზმი თითოეული პიროვნების მიმართ ქრისტიანულ პატივისცემასა და რწმენაზეა დაფუძნებული და გულისხმობს, რომ ადამიანმა თავისუფლად განივითაროს ღმრთისგან მისთვის ბოძებული ნიჭი და მიდრეკილებები. ეს ფილოსოფია რენესანსის პერიოდში ჩაისახა, შემდეგ დაიხვეწა და იმ სახით გავრცელდა, რომელსაც ჩვენ დასავლურ ცივილიზაციად ვიცნობთ.

საზოგადოების განვითარების ზოგადი მიმართულება ცალკეული პიროვნებების იმ მარწუხებიდან გამოთავისუფლებაში მდგომარეობდა, რომლებიც მათ ფეოდალურ საზოგადოებაში ბოჭავდა. ... იმისათვის, რომ ტოტალიტარული სახელმწიფოსთვის სასარგებლო მსახური გახდეს, ადამიანი მზად უნდა იყოს მისთვის ნაცნობი ყველა ზნეობრივი კანონის უარსაყოფად, თუკი ეს მისთვის დადგენილი შედეგის მისაღწევად საჭიროდ მოეჩვენება. ტოტალიტარული მანქანა დაუნდობლობისა და უპრინციპობისთვის ხელსაყრელ გარემო-პირობებს ქმნის.“

ფრიდრიხ ჰაიეკი „გზა ბატონყმობისკენ“, 1945.

დავალებებზე გადასვლა: 30.1; 30.2; 30.3; 30.4-30.8

30.1 ტექსტიდან გამომდინარე, რომელი იდეა დაედო საფუძვლად დასავლური ცივილიზაციის ჩამოყალიბებას?

ა. სოციალიზმი და ტოტალიტარიზმი ადამიანთა ურთიერთობას ზნეობრიობის ჩარჩოში მოაქცევს;

ბ. მცირეწლოვან ბავშვთა პოლიტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანება ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას;

გ. ადამიანი არის თავისუფალი არსება, რომელსაც უნდა ჰქონდეს საშუალება თავად გადაწყვიტოს საკუთარი ბედი;

დ. ფეოდალური საზოგადოება მეტ თავისუფლებას იძლევა ცალკეული პიროვნების თვითრეალიზაციისათვის.

წყაროებზე დაბრუნება: N 1.1; N 1.2; N2

30.2 ტექსტის თანახმად, ტოტალიტარული სისტემა მოქალაქეს უბიძგებს:

ა. სხვა მოქალაქეებთან თანასწორობისაკენ;

ბ. ზნეობრივი კანონების უარყოფისაკენ;

გ. საერთო კეთილდღეობისადმი სწრაფვისაკენ;

დ. საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისაკენ.

წყაროებზე დაბრუნება: N 1.1; N 1.2; N2

30.3 თქვენი ცოდნის საფუძველზე განსაზღვრეთ, ჩამოთვლილი ნიშნებიდან რომელი <u>არ აქვს</u> საერთო ნაცისტურ გერმანიასა და საბჭოთა კავშირში დამყარებულ პოლიტიკურ რეჟიმებს?

ა. სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უგულვებელყოფილია პლურალიზმის პრინციპი;

ბ. უგულებელყოფილია პიროვნების უფლებანი და თავისუფლებანი;

გ. სახელმწიფო პროპაგანდა დიდ როლს თამაშობს მასობრივი ცნობიერების მანიპულირებაში;

დ. სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ,,არასრულფასოვანი“ რასების წარმომადგენელთა წინააღმდეგ და ცდილობს მათ განადგურებას.

წყაროებზე დაბრუნება: N 1.1; N 1.2; N2

30.4 თქვენი ცოდნისა და მოცემული წყაროების საფუძველზე აღწერეთ რას ემსახურება განათლების სისტემა ტოტალიტარული რეჟიმის დროს.

30.5 თქვენი ცოდნისა და მოცემული წყაროების საფუძველზე, იმსჯელეთ, რატომ უპირისპირდება ტოტალიტარიზმი ადამიანს.

30.6 საბჭოთა საქართველოს მაგალითზე, დაასახელეთ ორი მეთოდი, რომლითაც ტოტალიტარული სისტემა ინდივიდს უპირისპირდებოდა.

30.7 როგორ ფიქრობთ, აისახა თუ არა საბჭოთა პერიოდის ტოტალიტარიზმის გავლენა საქართველოს დღევანდელ საზოგადოებრივ ცნობიერებაზე? აისახება თუ არა იგი პოლიტიკურ ცხოვრებაზე? თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ არგუმენტებით.

30.8 არგუმენტირებულად იმსჯელეთ რა ნიშნებით შეიძლება ტოტალიტარულ საზოგადოებას დავუპირისპიროთ სამოქალაქო საზოგადოება.

წყაროებზე დაბრუნება: N 1.1; N 1.2; N2